დანართი 1

ინსტრუქცია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარების ერთიანი წესების შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

§1. ინსტრუქციის მოქმედების სფერო

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარების ერთიანი წესების შესახებ ინსტრუქცია (შემდგომში - ინსტრუქცია) აწესრიგებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სემესტრული, შუალედური და დასკვნითი გამოცდების, აგრეთვე, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის მისაღები გამოცდების ორგანიზებისა და ჩატარების ერთიან წესებს.
2. ინსტრუქცია განსაზღვრავს თსუ-ში გამოცდების დანიშვნის, ჩატარების, გადავადების, საგამოცდო შედეგების შეფასებისა და გასაჩივრების, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის სპეციალურ წესებს.

§2. გამოცდების ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული გამოცდების ორგანიზებულად ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ სასწავლო დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილება ფაკულტეტებზე არსებული სასწავლო პროცესის მართვის სამსახურებთან ერთად. ამ მიზნით იქმნება თსუ საგამოცდო ცენტრი.
2. თსუ საგამოცდო ცენტრი შედგება თსუ სასწავლო დეპარტამენტისა და ფაკულტეტების შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებისაგან.
3. თსუ საგამოცდო ცენტრის შემადგენლობას ამტკიცებს თსუ რექტორი ბრძანების საფუძველზე. საგამოცდო ცენტრის საქმიანობას ხელმძღვანელობს თსუ სასწავლო დეპარტამენტის სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების უფროსი.
4. საგნის პედაგოგი ვალდებულია საგამოცდო ცენტრს წარუდგინოს თითოეული საგნის პროგრამის შესაბამისად შექმნილი საგამოცდო საკითხები.
5. საგამოცდო კომისიის წევრი საგნის პროფესორის რეკომენდაციით შეიძლება იყოს შესაბამისი მიმართულების თსუ-ს სრული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი ან სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული სპეციალისტი.
6. საგამოცდო კომისიის წევრობა არ წარმოადგენს დამატებით ანაზღაურებად საქმიანობას. კომისიის წევრი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დატვირთვის ფარგლებში.

§3. გამოცდის თარიღის დადგენა და შედეგების ელექტრონული რეგისტრაცია

1. თსუ საგამოცდო ცენტრი ყოველი სემესტრის დასაწყისში აქვეყნებს სემესტრული - შუალედური და დასკვნითი გამოცდების დანიშვნის, წერილობითი (ან ზეპირი) გამოცდების ჩატარების, საშინაო დავალებების, რეფერატების ჩაბარებისა და საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების დაცის ვადებს; წყვეტს საკითხს სტუდენტთა გამოცდაზე დაშვების, გამოცდისა და საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების დაცვის გადავადების შესახებ.
2. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური უზრუნველყოფს შესაბამის ფაკულტეტზე სასემინარო შეფასებების, ჩატარებული სემესტრული - შუალედური და დასკვნითი გამოცდების, საბაკალავრო/სამაგისტრო ნამუშევართა შეფასებების ელექტრონულ აღრიცხვას და თსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსებას.

II. გამოცდების ჩატარება და შეფასება

§4. გამოცდის მსვლელობაზე ზედამხედველობა

1. წერითი გამოცდის მსვლელობას ზედამხედველობას უწევს დამკვირვებელთა ჯგუფი. თითოეულ აუდიტორიაში იმყოფება სულ მცირე ორი დამკვირვებელი.
2. დამკვირვებელი სტუდენტებს/კონკურსანტებს გააცნობს „ქცევის წესებს". დამკვირვებელი დაფაზე აფიქსირებს გამოცდის დაწყების და დამთავრების დროს.
3. სტუდენტს/კომკურსანტს ეკრძალება გამოცდაზე ნებისმიერი ნივთის შეტანა, გარდა სასმელი წყლისა (პლასტმასის ბოთლით) და ჯანმრთელობისათვის აუცილებელი ნივთებისა. გამოცდაზე წიგნების გამოყენების საკითხს, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე წყვეტს საგამოცდო კომისია.
4. დამკვირვებელი მკაცრად აკონტროლებს სტუდენტთა/კონკურსანტთა მოვალეობების დაცვას. „შპარგალკის"(წიგნის, კონსპექტის) გამოყენების შემთხვევაში სტუდენტი/კონკურსანტი მოიხსნება გამოცდიდან. მას ჩამოერთმევა რვეული, საგამოცდო ბილეთი და სარეგისტრაციო უწყისში გაფორმდება შესაბამისი ჩანაწერი, რასაც ხელს აწერენ დამკვირვებლები. რვეულის გარე ყდაზე დაიწერება „მოიხსნა გამოცდიდან".
5. თუ დამკვირვებელი სტუდენტს/კონკურსანტს შენიშნავს გადალაპარაკებაში, მაშინ იგი ჯერ აფრთხილებს მას, ხოლო განმეორებით შემთხვევაში - მოხსნის გამოცდიდან.
6. საგამოცდო დროის ამოწურვამდე 10 წუთით ადრე დამკვირვებელი სტუდენტებს/კონკურსანტებს აფრთხილებს გამოცდის დამთავრების მოახლოების შესახებ.
7. საგამოცდო დროის დამთავრების შემდეგ სტუდენტები/კონკურსანტები საგამოცდო ნაშრომებს აბარებენ დამკვირვებელს და სარეგისტრაციო უწყისში აწერენ ხელს.

§5 სტუდენტის ვალდებულებები

1. სტუდენტი ყოველი სემესტრის დაწყებამდე თსუ-ში დადგენილი წესით გადის აკადემიურ რეგისტრაციას და ირჩევს შესაბამის საგნებს, რაც ამავდროულად

ნიშნავს მის მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს შესაბამის სემესტრულ – შუალედურ და დასკვნით გამოცდებში.

2. სტუდენტის მიერ აკადემიური რეგისტრაციის გაუქმების ან არჩეული საგნის შეცვლის მოთხოვნა დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან სამი კვირის განმავლობაში, თუ კი ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

§6. გამოცდაზე არ გამოცხადება, საგამოცდო განაწესის დარღვევა

1. სტუდენტი ჩაჭრილად ჩაითვლება, თუ იგი
   ა. არ გამოცხადდა დანიშნულ გამოცდაზე არასაპატიო მიზეზით ან გამოცხადდა და გამოცდის მსვლელობისას დატოვებს აუდიტორიას, ან მოიხსნა გამოცდიდან.
   ბ. დადგენილ ვადაში არ წარადგენს წერით ნამუშევარს – რეფერატს, საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომს და ა.შ.
   გ. გამომცდელზე მუქარის, სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფის, ფსიქიკური ზემოქმედების, მოტყუების, თაღლითობის და სხვა დაუშვებელი ხერხების გამოყენებით მიიღებს შეფასებას,
   დ. გამოცდის ჩაშლის მცდელობის, ან საგამოცდო განაწესის დარღვევის გამო მოიხსნება გამოცდიდან.
2. საგამოცდო ნაშრომის უარყოფითი შეფასება ფორმდება წერილობით.

§7. გამოცდის გადავადება

1. საპატიო მიზეზით გამოცდის გადავადების მოთხოვნა შესაძლებელია სტუდენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელშიაც უნდა მიეთითოს გადავადების საპატიო საფუძველი.
2. წერილობითი განცხადება გამოცდის ჩაბარებაზე უარის თქმის ან დანიშნული გამოცდის გადავადების შესახებ დაკმაყოფილდება სტუდენტის ან მისი მცირეწლოვანი შვილის ავადმყოფობის შემთხვევაში, შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე.
3. ქალებს მშობიარობამდე ექვსი კვირით ადრე ან მშობიარობის შემდგომ რვა კვირის განმავლობაში მათი წერილობითი განცხადების საფუძველზე ეძლევათ გამოცდის გადავადების შესაძლებლობა.

§8. გამოცდის განმეორებით ჩაბარება

1. გადაწყვეტილებას სტუდენტისათვის გამოცდის გამეორების უფლების მინიჭების შესახებ იღებს თსუ საგამოცდო ცენტრი დადგენილი წესის შესაბამისად.
2. საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომების არადამაკმაყოფილებლად შეფასების შემთხვევაში, მათი განმეორებითი წარმოდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია.

§9. საგამოცდო შედეგების შეფასება

1. წერითი გამოცდის შედეგების შეფასება ხდება წერილობითი ფორმით. ზეპირი გამოცდის შეფასებისას დგება ოქმი, რომელშიც შეიტანება შეფასების მნიშვნელოვანი კომპონენტები.
2. საკრედიტო სისტემით შეფასებები ხდება შემდეგი სქემის მიხედვით:

ქულები	შეფასება
91-100	ფრიადი
81-90	ძალიან კარგი
71-80	კარგი
61-70	დამაკმაყოფილებელი
51-60	საკმარისი
41-50	ვერ ჩაბარა
0-40	ჩაიჭრა

3. მაგისტრატურის მისაღები გამოცდების ნაშრომების შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით;
4. თუ შეფასებას რამდენიმე გამომცდელი ახდენს, საბოლოო შეფასება იქნება შეფასებათა საშუალო არითმეტიკული.

§10. საგამოცდო შედეგების შეფასების ვადები

1. სემესტრული შუალედური გამოცდის შეფასების შედეგები უნდა გამოქვეყნდეს გამოცდის ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-10 სამუშაო დღისა.
2. სემესტრული დასკვნითი გამოცდის შედეგები უნდა გამოქვეყნდეს გამოცდის ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-15 სამუშაო დღისა.

§11. საგამოცდო შედეგების საჯაროდ გაცნობა

1. სტუდენტი უფლებამოსილია წერილობითი განცხადების საფუძველზე საგამოცდო შედეგების გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში გაეცნოს საგამოცდო ნაშრომს თსუ საგამოცდო ცენტრში.
2. საგამოცდო დოკუმენტების გაცნობა გულისხმობს ნაშრომის შინაარსის ადგილზე გაცნობას, ამონაწერების გაკეთებას, საკუთარი ხარჯებით ქსეროასლების მოთხოვნას.

§12. უცხოეთის უნივერსიტეტებში მიღებული შეფასების შესაბამისობის დადგენა

სემესტრული - შუალედური და დასკვნითი გამოცდები, რომლებიც თსუ-ს სტუდენტმა ჩაბარა საზღვარგარეთ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში, შესაძლებელია აღიარებულ იქნეს თსუ საგამოცდო ცენტრის მიერ, დადგენილი წესების შესაბამისად.

III. საგამოცდო შედეგების გასაჩივრება და გადაწყვეტა

§13. საგამოცდო შედეგების გასაჩივრება

1. კონკურსანტი/სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სემესტრულ დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შედეგს, უფლებამოსილია, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს თსუ საგამოცდო ცენტრს და მოითხოვოს საგამოცდო შედეგების გადასინჯვა.
2. საჩივრი დასაშვებია, თუ კონკურსანტი/სტუდენტი უთითებს
   ა) პროცედურულ დარღვევებზე,
   ბ) შეფასების დადგენილი სისტემის უგულვებელყოფაზე.

§14. გადაწყვეტილება გასაჩივრებულ საგამოცდო შედეგებთან დაკავშირებით

1. თსუ სასაწავლო ცენტრის მიერ შექმნილი საპრეტენზიო კომისია საჩივრის მიღებიდან 15 დღის ვადაში განიხილავს საჩივარს და იღებს გადაწყვეტილებას საჩივართან დაკავშირებით.

2. დაუშვებელია საპრეტენზიო კომისიის გადაწყვეტილებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების მომჩივანის საუარესოდ შეცვლა.

IX. დასკვნითი დებულებები

§15. ინსტრუქციის მიღება, შეცვლა, გაუქმება

1. ინსტრუქციას თსუ რექტორის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს თსუ აკადემიური საბჭო.
2. ინსტრუქცია ძალაში შედის თსუ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე, თუ კი საბჭოს გადაწყვეტილებაში სხვა რამ არ არის მითითებული.
3. ინსტრუქციის გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა უნდა მოხდეს მისი მიღებისათვის გათვალისწინებული წესით.